პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი

# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 23 იანვარი, 1988 წელი ● № 4 (3032) ● 23 ЯНВАРЯ, СУББОТА 1988 г.

## მუშაობის ავ-კარგი სტატისტიკის ენით

გასულ წელს რესპუბლიკაში მომხდარი სამართალდარღვევათა სტატისტიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ოპერატიული მდგომარეობა გაუმჯობესდა, იკლო დამნაშავეობის დონემ. მართალია, თითოეული მშრალი ციფრის უკან ადამიანის ბედი და ხშირად უბედურება წარმოჩინდება, მაგრამ შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობის ავ-კარგს სწორედ სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს.

გასულ წელს ყველა ხაზით რეგისტრირებულ დანაშაულებათა რაოდენობამ იკლო 6 პროცენტით, მძიმე სახისამ კი 6,4 პროცენტით, სისხლის სამართლის დანაშაულებანი შემცირდა 5,8 პროცენტით, მათ შორის მძიმე 13,4 პროცენტით, შემცირდა მკვლელობისა და გაუპატიურების მცდელობის, ქურდობის, ძარცვის, თაღლითობის, ხულიგნობის, ბანდიტური თავდასხმის ფაქტების რაოდენობა, იკლო ავტოავარიების მსხვერპლთა რიცხვმა. 7,3 პროცენტით შემცირდა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულებები. ამასთან ერთად, საანგარიშო პერიოდში, ოპერატიულ ვითარებაზე ნეგატიური მოვლენა იქონია პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ზრდამ, პირველ რიგში კი წინასწარი განზრახვით მკვლელობამ და ხსეულის მძიმე დაზიანებამ, ამას გარდა, გაიზარდა სახელმწიფო ქონების ძარცვის, პირადი ქონების ქურდობისა და ავტოტრანსპორტის გატაცების შემთხვევები, რამდენადმე გაუარესდა სისხლის სამართლის დანაშაულებათა გახსნის ეფექტიანობა, გაუხსნელი დარჩა რამდენიმე ახეული დანაშაული. შესუსტდა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა. ამასთან დაკავშირებულ დანაშაულთა გამოვლენა შემცირდა 20,5 პროცენტით. არცთუ სახარბიელოა სპირტიანი სასმელების არაკანონიერი დამზადების, შენახვისა და გასაღების წინააღმდეგ ბრძოლის მაჩვენებლები. ამ კატეგორიის დამნაშავეთა გამოვლენა შემცირდა 55,2 პროცენტით.

უნდა აღინიშნოს, რომ იკლო აკრძალული საქმიანობის, კერძომესაკუთრული საქმიანობის ფაქტების გამოვლენათა მაჩვენებელმა.

მოკლედ გვინდა შევეხოთ გასული წლის საშემსრულებლო დისციპლინის მდგომარეობას.

სხვადასხვა ინსტანციიდან რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში შემოსული თითოეული საჩივარი კონტროლზეა აყვანილი. გასულ წელს განსაკუთრებით ბევრი იყო საკადრო საკითხებთან დაკავშირებული საჩივრები. უნდა ავღნიშნოთ, რომ გაუმჯობესდა ცენტრალური აპარატების სამსახურების საშემსრულებლო დისციპლინა. განსაკუთრებით კი შრომა-გასწორების დაწესებულებებისა და სოცსაკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოების საქმიანობაში. ამასთან ერთად მთელი გასული წლის განმავლობაში აღინიშნებოდა სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს თანამშრომელთა საშემსრულებლო დისციპლინის გაუარესება. რამოდენიმე კონტროლიდან მოუხსნელი საქმე აქვთ აგრეთვე საგამომძიებლო, კადრების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოებს.





## НА РАСШИРЕННОМ ЗАСЕДАНИИ КОЛЛЕГИИ МВД ГССР

21 января состоялось расширенное заседание коллегии МВД ГССР, в работе которого приняли участие начальник ГУИД МВД СССР генерал-лейтенант внутренней службы И. Катаргин, начальник отдела административных органов ЦК КП Грузии В. Бакрадзе, прокурор республики В. Размадзе, заместитель заведующего отделом административных органов Совета Министров Грузинской ССР М. Гваришвили, заместитель министра юстиции ГССР З. Ратиани, начальник отдела КГБ ГССР полковник М. Осадзе, заместитель секретаря партийного комитета МВД ГССР Б. Шония, а также начальники и сотрудники управлений и самостоятельных отделов ЦА министерства, органов и подразделений внутренних дел республики, приглашенные на расширенное заседание коллегии.

На коллегии с докладом «Об основных итогах оперативно-служебной деятельности органов внутренних дел республики в 1987 году, работы по укреплению соцзаконности и правопорядка и задачах по ее совершенствованию и повышению эффективности в условиях перестройки» выступил министр внутренних дел Грузинской ССР генерал-майор внутренней службы Ш. Горгодзе.

В прениях по докладу приняли участие министр внутренних дел Абхазской АССР генерал-майор М. Чулков, начальник УУР МВД ГССР подполковник Т. Варданашвили, начальник УБХСС МВД ГССР полковник милиции В. Чантуришвили, начальник УИТУ МВД ГССР полковник Г. Ходжава, заместитель начальника Горийского ГОВД по политической части капитан милиции Н. Далакишвили, заместитель начальника УООП МВД ГССР подполковник милиции Ш. Цинцкаладзе, начальник учреждения УИТУ МВД ГССР подполковник внутренней службы И. Гугунава, начальник Ткибульского ГОВД подполковник милиции Т. Цкипуришвили, заместитель начальника следственного управления МВД ГССР полковник И. Цинцадзе, начальник Чиатурского ГОВД подполковник милиции Р. Асанидзе. На расширенном заседании коллегии МВД ГССР выступил начальник ГУИД МВД СССР генерал-лейтенант внутренней службы И. Катаргин.

Материалы расширенного заседания коллегии МВД ГССР будут опубликованы в следующем номере.

## АНАЛИЗИРУЯ ПРОДЕЛАННУЮ РАБОТУ

На днях в Доме культуры им. Ф. Э. Дзержинского состоялось совещание Института общественного мнения при МВД ГССР. Вступительным словом совещание открыл министр внутренних дел Грузинской ССР генерал-майор внутренней службы Ш. Горгодзе.

С докладом о проделанной институтом в 1987 году работе перед собравшимися выступил ректор ИОМ при МВД ГССР, заведующий отделом Совета Министров республики К. Кетиладзе. Докладчик дал оценку деятельности секций института по повышению квалификации административных работников, внедрению новых форм подбора и расстановки кадров, организации с этой целью профессиональных конкурсов. Были отмечены недостатки в работе секций по борьбе с наркоманией и нетрудовыми доходами.

На совещании был решен ряд организационных вопросов. Проректором ИОМ при МВД ГССР избран кандидат педагогических наук, профессор кафедры педагогики Центрального республиканского института усовершенствования учителей М. Дарчия, руководителем секции по борьбе с нетрудовыми доходами избран министр финансов республики Д. Двалишвили. Секции по борьбе с наркоманией и детской преступностью и безнадзорностью возглавили писатель, видный общественный деятель Р. Мешвеладзе и доцент Центрального республиканского института усовершенствования учителей Г. Меликидзе.

## ОПЫТ, ДОСТОЙНЫЙ ИЗУЧЕНИЯ

**В числе победителей социалистического соревнования в честь 70-летия Великой Октябрьской социалистической революции и 70-летия советской милиции среди подразделений вневедомственной охраны коллегией МВД Грузинской ССР награжден переходящим вымпелом и Почетной грамотой МВД ГССР Отдел вневедомственной охраны при Сабурталинском РОВД г. Тбилиси.**

Нынешний успех в социалистическом соревновании коллектива отдела, руководимого майором милиции Э. Гиорхелидзе случайным не назовешь. О напряженности, творческом характере труда его сотрудников говорит тот факт, что с момента создания отдела на охраняемых им объектах не было зафиксировано ни одной оставшейся безнаказанной кражи, ни одного чрезвычайного происшествия. И в 1987 году значительно превышен основной плановый показатель — оборудованность средствами охранно-пожарной сигнализации объектов народного хозяйства и квартир граждан. В частности, на пульт централизованного наблюдения подключено 259 квартир граждан вместо запланированных 180, под охрану принято 33 новых объекта.

Основой достижений отдела по мнению его начальника, секретаря парторганизации майора милиции Э. Гиорхелидзе, является эффективное сочетание повседневной служебной деятельности по охране производственных и жилых помещений, поддержание в безукоризненном состоянии систем ОПС с постоянной профилактической работой на предприятиях и среди населения. Так, на предприятиях района в прошлом году была пресечена 61 мелкая кража, а на трикотажном объединении «Бахтриони» — попытка вывоза под видом мусора продукции на несколько тысяч рублей.

Ни один из подобных случаев не остался без внимания руководства и коллективов соответствующих предприятий, совместно с представителями ОВО проводились товарищеские суды, встречи с местным активом, профилактические беседы. Регулярными становятся выездные заседания профкома ОВО на предприятиях района, обсуждения с руководством охраняемых объектов планов совместных мероприятий, обобщение накопленного опыта.

Следует отметить, — и это особенно важно в условиях набирающей силу кардинальной реформы нашей экономики, что ОВО при Сабурталинском РОВД — учреждение полностью рентабельное. По состоянию на декабрь 1987 года план по доходам выполнен на 110,1 процента, превышение доходов над расходами составило 349,2 тысячи рублей. «Но вот беда, — говорит начальник военизированной охраны, заместитель секретаря партийной организации ОВО М. Толкачников, — получая большие доходы, мы не можем распоряжаться даже самыми малыми суммами. А проблем у нас много. Это и жилье для сотрудников, и неудовлетворительное состояние нашего помещения, где нет возможности оборудовать класс для занятий, отсутствие места для стоянки и боксов для ремонта автомашин и многое другое. Пора, наконец, состыковать самоокупаемость с самофинансированием — только в этом случае можно будет говорить о подлинном хозрасчете».

Сегодня, в условиях перестройки, все большее признание получают новые, прогрессивные формы организации труда. В отделе введена бригадная форма оплаты труда электромонтеров по обслуживанию систем ОПС, что позволило при сохранившемся объеме работ обходиться вдвое меньшим количеством людей и одновременно резко поднять уровень их заработной платы.

Опыт работы отдела, несомненно, достоин изучения, но нельзя забывать и существующие в коллективе проблемы, которые ждут своего решения.

А. ПОДОПРИГОРА.

# ЗВАНИЕ СОЛДАТА ПРАВОПОРЯДКА ОБЯЗЫВАЕТ

## ПОВЫШАЯ ДЕЙСТВЕННОСТЬ ПАРТИЙНОЙ РАБОТЫ

Перестройку совершают люди. Вот почему сегодня партия важнейшим делом определила работу с кадрами — их подбор, расстановку и воспитание. Надо честно признать — в этой области у нас немало просчетов, досадных ошибок, упущений. Причин на то много. Одна из них — недостаточная принципиальность, либерализм решений, принимаемых первичными парторганизациями, нежелание или неумение трезво, самокритично оценить ситуацию, дать твердый отпор тем, кто подрывает авторитет сотрудников органов внутренних дел.

Проиллюстрирую сказанное лишь одним примером. Поступил к нам сигнал о факте вымогательства со стороны работников угрозыска, в частности, члена КПСС А. Асланишвили. Первичная партийная организация обсудила данный вопрос и... ограничилась строгим выговором с занесением в учетную карточку! То есть, по сути, скомпрометировавшего себя работника постарались укрыть от заслуженного наказания, увести от ответственности.

Партийный комитет изменил это решение. Асланишвили исключен из рядов членов КПСС, уволен из ОВД.

Наша магистральная линия — решительно очищать ряды от недостойных сотрудников. Но тут же возникает серьезный вопрос — кем их заменить?

Уже не первый год существует практика направления в органы внутренних дел молодых людей по рекомендации трудовых коллективов. Направляют и с прекрасными рекомендациями. Но кого?!

Не так давно довелось нам на заседании парткома обсудить из ряда вон выходящий факт. Кандидат в члены партии Ю. Прангишвили, проработавший, после демобилизации из рядов Советской Армии, два месяца в производственном объединении «Электровозостроитель», был направлен к нам. Вскоре в целях повышения квалификации начав учебу на курсах первоначальной подготовки в Учебном центре МВД республики, курсант совершил два тяжких преступления — изнасилование и нанесение физических оскорблений. Возбуждено уголовное дело. Но не дает покоя вопрос: с какими критериями подходят к приему в кандидаты в члены КПСС и направлению в органы внутренних дел на «Электровозостроителе», если впоследствии человек, за которого поручился коллектив, оказывается на скамье подсудимых?

Скажу прямо, что с такими представлениями мы вряд ли сможем достичь коренных сдвигов в деле наведения образцового общественного порядка. Формальный, недобросовестный подход к направлению в органы внутренних дел со стороны трудовых коллективов наносит непоправимый ущерб престижу наших служб и подразделений.

Считаю: для того, чтобы наши первичные партийные организации, партийный комитет получили возможность более глубоко и всесторонне владеть обстановкой в кадровом вопросе, осуществлять требовательный отбор, партийным и общественным организациям промышленных предприятий, учреждений необходимо поддерживать с нами более тесные, деловые контакты. И общими усилиями делать общее дело — направлять в органы внутренних дел действительно достойных людей, истинных солдат правопорядка.

**Ш. КАЦАДЗЕ,**
**майор милиции, секретарь партийного комитета УВД Тбилгорисполкома.**

„უბნის ინსპექტორი" — ასე ეწოდება გაზეთ „კომუნისტის", 8 იანვრის ნომერში დაბეჭდილ ფოტორეპორტაჟს, რომელიც მოგვითხრობს თბილისელ უბნის ინსპექტორზე, მილიციის მაიორ ა. ლვინიანიძეზე.

„შარშან რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის საბჭომ მოაწყო გამოკითხვა. გამოკითხულთა ერთმა ნაწილმა უბნის ინსპექტორთა პიროვნული თვისებების შეფასებისას განაცხადა, რომ უმრავლესობას საერთოდ არ გააჩნიათ დადებითი პიროვნული თვისებები. უბნის ინსპექტორთა ნაკლოვანებების შესახებ კი ისინი პირველ რიგში მიუთითებენ, რომ აკლიათ პროფესიული მომზადება, საზოგადოებრივზე მაღლა პირად ინტერესებს აყენებენ; ნაწილი მათ მთავარ ნაკლად გადაწყვეტილების მიღების უუნარობას თვლის, სხვები გაუბედაობასა და სიმხდალეს, კულტურისა და განათლების დაბალ დონეს აღნიშნავენ, ზოგნი პირად დაინტერესებაზე მიუთითებენ სამსახურებრივი საკითხების გადაწყვეტისას". — ვკითხულობთ ფოტორეპორტაჟის ტექსტის დასაწყისში. მაიორი არსენ ლვინიანიძე კი ვერ ერგება საზოგადოებრივი აზრით გამოკვეთილ უბნის ინსპექტორის სტერეოტიპს..." — აგრძელებს გაზეთი.

**„ბუნების დაცვა ყველას ვალია" — ამ სათაურით ამავე გაზეთის 9 იანვრის ნომერში რუბრიკით „ქმედითობა" გამოქვეყნებულია რესპუბლიკის სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსის გ. ცინცაძისა და თბილისის სახავტოინსპექციის უფროსის ვ. როგავას პასუხები გასული წლის 4 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილ კრიტიკულ შენიშვნაზე სათაურით „ნეტამც პირიქით იყოს", რომელიც სახელმწიფო და საკუთარი ავტომობილების მიერ ატმოსფეროს გაჭუჭყიანების საკითხს ეხებოდა.**

„შენიშვნაში მოყვანილი ფაქტები სწორია... გამონაბოლქვი აირების შემცირების მიზნით რესპუბლიკის ქალაქებში მნიშვნელოვანი სამუშაოები სრულდება მოძრაობის ორგანიზაციისათვის. ავტოინსპექცია მომავალში კვლავ ქმედით ღონისძიებებს განახორციელებს ატმოსფერული ჰაერის სისუფთავის დასაცავად".

„წლეულს დაგეგმილია თბილისში აშენდეს, როგორც საკუთარი, ისე სახელმწიფო სექტორის ავტომანქანების შესამოწმებლად დიაგნოსტიკური სადგური, რაც ხელს შეუწყობს ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე უწესრიგობის აღმოფხვრას, ეს კი მინიმუმამდე შეამცირებს გამონაბოლქვში მავნე აირებს" — ნათქვამია პასუხებში.

**გაზეთ „თბილისის" 7 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულია საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს ანგარიში გარდაქმნის ხელმძღვანელობისათვის მუშაობის შესახებ, სადაც სხვა საკითხებთან ერთად აღინიშნა:**

„რომ საქალაქო კომიტეტმა შარშან არაერთხელ მიაპყრო შესაბამისი პარტიული, სამართალდამცავი და სხვა ორგანოების ყურადღება მოქალაქეთა პიროვნებისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა ზრდის ტენდენციას, მაგრამ მიღებული ზომებით ვერ მოვახერხეთ აგვენაზღაურებინა გასული წლის პირველი კვარტალის ორ თვეში დაშვებული უხეში შეცდომები, როცა ბევრი პიროვნების უზრუნველობის გამო მოხდა რამდენიმე განზრახ მკვლელობა, ე. ი. მთელი 1987 წლის მანძილზე ჩადენილი ამ კატეგორიის ბოროტმოქმედების თითქმის ნახევარი.

ჩვენს ორგანოებს ზოგჯერ არ ყოფნით შეუპოვრობა ლოთობის, მუქთახორობის, მეძავეობის, ნარკომანიისა და ჩვენი ბუნებისათვის სხვა უცხო მოვლენების აღმოფხვრაში. სერიოზული საყვედურის ღირსია ქალაქის სახელმწიფო ავტოინსპექციის სამსახური, არ აღმოფხვრილა ნაკლოვანებები სისხლის სამართლის სამძებროში. საერთოდ ჩანს, საჭიროა სპეციალურად შევისწავლოთ სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების მუშაობა, რომლის ოპერატიული სამძებრო მუშაობის ორგანიზაცია ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს".

**12 იანვარს, გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ანგარიში გარდაქმნის ხელმძღვანელობისათვის მუშაობის შესახებ, სადაც აღინიშნა:**

„ცენტრალური კომიტეტის ბიურო გარდაქმნის დროს მიზნად ისახავდა იმას, რომ დაეხვეწა დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის მუშაობა. გაძლიერდა აქცენტი მექრთამეობის, სოციალისტური საკუთრების დატაცების, ნარკომანიის, მკვლელობის, ქურდობისა და სხვა კონკრეტულ ფაქტებზე. ხორციელდება დანაშაულობათა პროფილაქტიკის ეფექტიანობის ზრდის ღონისძიებანი. სისტემატურად განისაზღვრება პარტიული, საბჭოთა სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობის მთავარი მიმართულებანი.

ამავე დროს ბიურო აღიარებს, რომ ბევრი პრობლემის სიმწვავე არ ნელდება. დღემდე უზრუნველყოფილი არ არის დატაცებისაგან, მითვისებისაგან, გაფუჭებისა და უყაირათობისაგან სოციალისტური საკუთრების საიმედო დაცვა, ბოლო არ მოღებია გამომძალველობას, მექრთამეობას, პროტექციონიზმს, ნეგატიურ მოვლენებს. ცუდად წყდება მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ დანაშაულობათა თავიდან აცილების, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებთან ბრძოლის გაძლიერების საკითხები. დროულად არ ვლინდება და არ აღიკვეთება პარაზიტიზმის, ნარკომანიის, პროსტიტუციის ფაქტები. ბიუროს მიაჩნია, რომ სამართალდაცვითი საქმიანობის გარდაქმნის გზაზე სერიოზული დაბრკოლებაა ნეგატიური მოვლენები თვით ადმინისტრაციულ ორგანოებში. რამდენადმე შენელდა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სიმწვავე".

ქ. თბილისის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობასაც ეხება გაზეთ „კომუნისტის" 15 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმის მასალა: „სიმართლის გაკვეთილებიდან — რეალური საქმეებისაკენ".

# კარგი საჩუქარი



**ახალ, 1988 წელს, კარგი საჩუქარი მიიღეს დუშეთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების თანამშრომლებმა. ადმინისტრაციულ შენობას დააშენდა და ექსპლოატაციაში შევიდა მესამე სართული, კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა მთლიანად ნაგებობას. საქართველოს სსრ შს სამინისტროს სამეურნეო განყოფილების მხარდაჭერით და თანადგომით განყოფილებამ შეიძინა დგამ-ავეჯი, კარადები, რკინის სეიფები და ა. შ.**

**სამუშაო პირობები მკვეთრად გაიუმჯობესეს და ახალ, კეთილმოწყობილ კაბინეტში გადავიდნენ შს რაიონული განყოფილების საგამომძიებლო ჯგუფის, სისხლის სამართლის ქვეგანყოფილების, სოცსაკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფის და სხვა სამსახურის თანამშრომლები.**

**გაკეთდა „ლენინის ოთახი", სადაც საშუალება იქნება თანამშრომლებს და მათი ოჯახის წევრებს აჩვენონ კინოფილმები, ჩატარდეს სხვადასხვა სახის ღონისძიებები.**

**სურათზე: შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების ადმინისტრაციული შენობა რეკონსტრუქციის შემდეგ.**

## რესპუბლიკური პრესის მიმოხილვა
## ОБЗОР РЕСПУБЛИКАНСКОЙ ПЕЧАТИ




В УВД Юго-Осетии проводится большая работа по использованию средств массовой информации в целях пропаганды и повышения авторитета деятельности органов внутренних дел, воспитания личного состава. Политотдел УВД рассматривает печать, радио как боевую трибуну, которая позволяет непосредственно обращаться к читателям, радиослушателям. Рассказывая о сложной, кропотливой, подчас героической работе наших сотрудников, мы воспитываем уважение к милицейскому труду.

Вместе с тем и сотрудники ОВД, знакомясь с этими публикациями, глубже понимают смысл своего труда, получают новые импульсы трудовой активности. Каждая строка , если она находит путь к сердцу сотрудников органов внутренних дел, помогает воспитывать личный состав в духе верности партии, народу, служебному долгу.

В 1987 году в областных газетах опубликованы 5 специальных тематических страниц. Опубликованные материалы рассказывают о деятельности милиции, о благородных делах ее сотрудников. К 70-летию Великого Октября и 70-летию советской милиции во всех областных газетах были опубликованы тематические страницы, посвященные этим знаменательным датам.

Руководящий и инспекторский состав УВД Юго-Осетии регулярно выступает на страницах областных газет по вопросам правового воспитания и пропаганды деятельности органов милиции. Материалы, подготовленные в службах УВД и других подразделениях органов внутренних дел, представляются в пресс-группу политотдела УВД Юго-Осетии для обработки, редактирования, направления в редакции газет, радио. Всего в 1987 году в областных газетах под рубриками «Перестройке — твердый общественный порядок», «На страже социалистической законности», «С огнем не шутят», «Вне закона», «Ровесница Октября», «Это станет традицией», «Мы и закон», «Часовые порядка» было опубликовано около 170 материалов. По областному радио под рубриками «Говорит 02», «Рожденная Октябрем», «Человек и закон» передано 10 материалов, освещающих деятельность органов внутренних дел области. Необходимо особо отметить такие переданные по радио материалы, как «На переднем крае» политотдела УВД Юго-Осетии подполковника милиции Г. Инджия, «Перестраивая свою работу» начальника политотдела УВД Юго-осетии майора милиции С. Липина, радиоматериалы, посвященные 70-летию советской милиции. Для пропаганды деятельности ОВД активно используется и районная печать.

Необходимо отметить, что в этом году значительно увеличилось количество и повысилось качество публикаций в областных и районных газетах, передач по областному радио. На смену коротким информациям и зарисовкам пришли развернутые проблемные статьи, рассказывающие о деятельности сотрудников профилактической службы, инспекций по делам несовершеннолетних, очерки, корреспонденции о лучших работниках милиции. Душой и организаторами взаимодействия ОВД области со средствами массовой информации являются политработники, секретари парторганизаций ГОРОВД. Систематически публикуются материалы работников милиции области и на страницах газеты МВД ГССР «Боевой страж».

В 1987 году продолжился выпуск сатирического листка УВД Юго-Осетии «Бич». Листок пользуется большой популярностью у населения. На его страницах сатирическим, обличительным словом ведется борьба со всякого рода нарушениями соцзаконности и правопорядка. В прошедшем году выпущено три номера. «Бич» рассылается во все ГОРОВД, вывешивается в местах скопления людей: на остановках общественного транспорта, в кинотеатрах, клубах, магазинах, у проходных предприятий, в сельсоветах. Часть тиража через почту доставляется непосредственно населению.

Серьезное внимание УВД Юго-Осетии, политотдел обращают на критические выступления прессы, по каждому из них принимаются исчерпывающие меры. Каждое критическое замечание обсуждается, и представители средств массовой информации получают конкретный и деловой ответ. И не случайно, что деятельность милиции население области оценивает высоко, зачастую при этом ссылаясь на печатные публикации, выступления радио.

**Т. ГУЦМАЗТЫ,**
**старший лейтенант милиции, инструктор пресс-группы политотдела УВД Юго-Осетии.**

# დავიცვათ წესი და რიგი

დიდი ხანი არაა, რაც ჩვენი ქალაქის ქუჩებშიაც გამოჩნდნენ კერძო ავტომანქანები ტაქსების აბრით. ამას საფუძვლად უდევს ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილება, რომელიც მიმდინარე წლის მაისიდან არის ძალაში.

საფინანსო განყოფილების მიერ გაცემული სარეგისტრაციო მოწმობის თანახმად, მძღოლისთვის დაწესებულია გარკვეული სამუშაო საათები, რასაც ისინი მტკიცედ უნდა იცავდნენ, მაგრამ ზოგიერთები საკუთარ ჯიბეს ეხარბებიან და უხეშად არღვევენ სამუშაო დროის დაწესებულ ნორმებს.

განსაზღვრული საათების შემდეგ მუშაობდნენ კერძო ტაქსებზე ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის სახანძრო ნაწილის თანამშრომელი, ქ. ზესტაფონში პუშკინის ქუჩის №20-ში მცხოვრები ბიძინა სევერიანის ძე ცინაძე, ფეროშენადნობთა ქარხნის მექანიკური საამქროს მჭედელი, კვალითის დასახლების №43 სახლში მცხოვრები ალექსანდრე პავლეს ძე კახნიაშვილი, ზესტაფონის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი, თერჯოლის რაიონის სოფელ სიქთარვაში მცხოვრები ჯუმბერ პავლეს ძე ფანჩულიძე და სოფელ მარტოთუბანში მცხოვრები გიზო მიხეილის ძე ბებიაშვილი.

ყველამ უნდა იცოდეს, რომ კანონი კანონია და მისი დარღვევა არავის ეპატიება.

**ა. კვანტრიშვილი.**
**ზესტაფონის შს რაიგანყოფილების უბნის ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი.**

## გზა გადავუკეტოთ სპეკულანტებს

# ისევ ციტრუსებზე...

**დიახ,** ამ წერილში ისევ ციტრუსებზე გვექნება საუბარი, მაგრამ არა მის სარგებლობაზე ან მოწინავე მეციტრუსეებზე, არამედ სპეკულანტებზე — იოლი გზით გამდიდრების მოყვარულებზე. ამ კატეგორიის სპეკულანტთა დიდი ნაწილი დადის სოფელ-სოფელ და ჩამბარებლებისაგან ხელსაყრელი ფასით ბითუმად ყიდულობს მთელ მოსავალს შემდეგ კი ყველანაირი ხერხით ცდილობს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მის გატანას, რასაც ზოგჯერ ახერხებს კიდეც. ამიტომ ციტრუსოვანთა დამზადების სახელმწიფო გეგმას ჩაფუშვის საფრთხე ემუქრება. შექმნილი მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორებას ხელს უშლის სასოფლო საბჭოებისა და ხელისუფლების სხვა ადგილობრივი ორგანოების მოუქნელობა და წაყრუება. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ თითქოს ამ მიმართულებით არაფერი სასიკეთო არ კეთდებოდეს. სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებს ამ მხრივ დიდი გამოცდილება აქვთ. ამ საქმეში მათ დიდ დახმარებას უწევენ სახალხო რაზმელებიც, მაგრამ ციტრუსების უკანონოდ გატანის ფაქტებზე ისევ და ისევ გვიწევს წერა.

დღეს, როდესაც ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში ხდება ძირეული გარდაქმნები, ალბათ შინაგან საქმეთა ორგანოებმაც ციტრუსებით მოვაჭრეთა წინააღმდეგ ბრძოლის ახალი მეთოდები უნდა გამონახონ, რათა ყველა გზა გადავუკეტოთ რესპუბლიკისა და მისი პატიოსანი მშრომელების სახელის გამტეხებს. ამ მხრივ მრავალი ღონისძიება ტარდება აფხაზეთისა და აჭარის შინაგან საქმეთა ორგანოებში. გასული წლის 30 ნოემბერს მხოლოდ სოხუმი-სოჭის მატარებელში დაკავებულ სპეკულანტებს ჩამოართვეს 3225 კგ. მანდარინი. სულ ნოემბერ-დეკემბერში კი 24825 კგ. სადგურ სოხუმის შინაგან საქმეთა სახაზო განყოფილების თანამშრომლებმა მიმდინარე წლის იანვარში უკვე გამოავლინეს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასატანად გამზადებული 2720 კგ. მანდარინი. სოხუმი-სოჭის მატარებელში სპეკულანტების გამოსავლენად გატარებულ ღონისძიებებში თავი გამოიჩინეს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების ოპერრწმუნებულმა, მილიციის კაპიტანმა ბ. ტირკიამ, სახანძრო ზედამხედველობის უფროსმა ინსპექტორმა, შ/ს კაპიტანმა ზ. კვარაცხელიამ, მილიციის სერჟანტმა ნ. ჭილაიამ და მილიციის ზემდეგმა ა. ჩიტაიამ.

გაგრის შინაგან საქმეთა სახაზო განყოფილების თანამშრომლებმა, სოცსაკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების ოპერრწმუნებულმა, მილიციის კაპიტანმა ს. მინასიანმა, მილიციის უფროსმა სერჟანტებმა. ვ. პანგანმა და ვ. ჯანსუზიანმა გამოავლინეს სასპეკულაციოდ გამზადებული 4400 კგ. მანდარინი. სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების ოპერრწმუნებულმა მილიციის ლეიტენანტმა ა. ძაშმბამ და მილიციის სერჟანტმა ტ. გოგოლაძემ კი 2130 კგ. მანდარინი.

ბათუმის შინაგან საქმეთა სახაზო განყოფილების უფროსის მოადგილემ, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ნ. ბერიძემ, სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების ოპერრწმუნებულმა, მილიციის ლეიტენანტმა დ. ბეჟანიძემ, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინსპექტორმა, მილიციის კაპიტანმა ა. ირემაძემ, მილიციის უფროსმა სერჟანტმა მ. ჯოჯუამ და II მიკრორაიონის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულის შტაბის უფროსის მოადგილემ შ. კუტალაძემ გასული წლის 16 ნოემბერს ბათუმში დააკავეს. 130 კგ. მანდარინი ჩამოართვეს გამოუსწორებელ სპეკულანტს რ. ქათამაძეს. თვითონ განსჯით მის უტიფრობას, თუ გაუწყებთ, რომ ორი დღის შემდეგ ბათუმელი „ბიზნესმენი" ქობულეთიდან აპირებდა 140 კგ. მანდარინის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანას. 23 დეკემბერს ბათუმის სატვირთო სადგურში დააკავეს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩაისუბნის მცხოვრები ნ. ფალავა, რომელიც ცდილობდა სასპეკულაციოდ გაეტანა 660 კგ. მანდარინი.

დარწმუნებული ვართ, რომ შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები კვლავაც ყველა ღონეს იხმარენ, რათა მშრომელთა მარჯვენით მოწეული ეს სურნელოვანი ნაყოფი სპეკულანტების უშრომელად გამდიდრების წყაროდ არ იქცეს.

**ბ. თათეიშვილი.**

---

## ТОЛЬКО ФАКТЫ

● **12 января сотрудниками ОБХСС УВД г. Тбилиси и Каспского РОВД были задержаны водители-экспедиторы Тбилисского АТП Госагропромтранса ГССР П. Квливидзе, Т. Морбедадзе, ранее судимый, и Ц. Суладзе, которые, осуществляя перевозку спирта на Квемоавчальский завод по производству безалкогольных полуфабрикатов путем оставления части спирта в тайниках, замаскированных в автоцистернах, похитили 1305 литров с целью дальнейшей реализации. Начальник производства указанного завода, злоупотребляя своим служебным положением, распорядился о том, чтобы по окончании работы каждому из перечисленных водителей было выдано по 40 литров спирта. Таким образом из указанного завода было похищено 1425 литров спирта стоимостью 61275 рублей. Расследование ведет СО УВД г. Тбилиси.**

● **13 января в ГОВД г. Рустави обратился Г. Сасеханян с заявлением о том, что в ночное время неустановленный преступник, взломав дверь, проник в его квартиру, откуда совершил кражу двух магнитофонов и золотого кольца. Принятыми мерами установлен и задержан Г. Заликян. Установлено, что он же совершил кражу из квартиры В. Селимашвили. Часть краденного изъята. Расследование ведет ГОВД.**

● **15 января сотрудниками Первомайского РОВД г. Тбилиси были задержаны А. Нацвлишвили и И. Арабули, которые со склада книжной базы «Сакцигни» художественную литературу стоимостью 188 руб. 45 коп, продали за 275 руб. Расследование ведет РОВД.**

● **16 января в первое отделение Первомайского РОВД г. Тбилиси обратилась Н. Скларенко с заявлением о том, что 15 января неустановленный преступник под словесной угрозой отобрал у нее золотые серьги и наручные часы. Принятыми мерами по «горячим следам» задержан Г. Мазмишвили. Награбленное изъято.**

● **16 января в г. Батуми со двора дома по улице Табидзе неустановленный преступник угнал автомашину ГАЗ-24, принадлежащую З. Евгенидзе. Указанная автомашина обнаружена в пос. Чаква Кобулетского района и в сохранности возвращена владельцу. Расследование и розыск ведет ГОВД.**

● **17 января в подвальном помещении по ул. 5-го Декабря сотрудниками РОВД района им. 26 комиссаров г. Тбилиси на факте азартной игры в карты задержаны З. Мартиросян, Ш. Мстоян, Е. Араратов и Р. Аракелян, у которых изъято 200 руб. и колода игральных карт. Расследование ведет РОВД.**

---

## შინაგან საქმეთა ორგანოებში — მხოლოდ ღირსეულნი





# ჩატარდა რიგით მესამე რესპუბლიკური კონკურსი

**გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ჯერ კიდევ საკმაო ხარვეზებია რესპუბლიკის ავტოინსპექციის მუშაობაში. არის პრობლემები, რომელსაც ღრმად აქვს ფესვები გადგმული წარსულში, ყოველივე ამას კი დაუღალავი და შეურიგებელი ბრძოლა სჭირდება და სწორედ ამ მიმართულებით წარმართავს თავის მუშაობას დღეს რესპუბლიკის ავტოინსპექციის ხელმძღვანელობა.**

**ერთ-ერთი ახალი წამოწყება, გადადგმული ნაბიჯი სიახლისაკენ, სახელმწიფო ავტოინსპექციის საგზაო-საპატრულო სამსახურის რიგითი ინსპექტორების თანამდებობაზე მისაღები რესპუბლიკური კონკურსია. ეს კონკურსი მიმდინარე წლის 15 იანვარს უკვე მესამედ ჩატარდა. განვლილ ეტაპებზე, და თვით ბოლო კონკურსის შესახებ დღეს გვესაუბრება რესპუბლიკის სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს პროპაგანდისა და აგიტაციის ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი რ. იანტბელიძე.**

— გამოცდილებამ დაგვანახა რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში სახავტოინსპექციის რიგით შემადგენლობაში ხვდებოდნენ ისეთი პირები, რომლებიც პროფესიული და ზოგადი განათლების დაბალი დონის გამო შემდგომში ვერ აკმაყოფილებდნენ დღევანდელობის გაზრდილ მოთხოვნებს, ჯერ კიდევ არსებობს მათი თანამდებობაზე მიღება შეუსწავლელად, სტიქიურად, პროტექციონიზმით.

საგზაო — საპატრულო სამსახურის რიგითი შემადგენლობის, ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლებით დაკომპლექტების, სათანადო რეზერვების შექმნის, მათი პოლიტიკური, ზნეობრივ-მორალური, პროფესიონალური და საერთო განათლების დონის ამაღლებისა და მისი ქმედითუნარიანობის გაზრდის მიზნით რესპუბლიკის ავტოინსპექციის სამმართველოს ინიციატივითა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის თანხმობით გამოცხადდა რესპუბლიკური კონკურსი.

საერთო ხელმძღვანელობა დაევალა სახავტოინსპექციის სამმართველოს. დებულების მიხედვით კონკურსში მონაწილეობის უფლება მიეცათ 28 წლის ასაკამდე მოწინავე ახალგაზრდებს, რომლებმაც მოიხადეს სავალდებულო სამხედრო სამსახური, წარმოადგენდნენ მილიციის რაიგანყოფილებების უფროსების, შესაბამისი შრომითი კოლექტივებისა და პარტიული (კომკავშირული) ორგანიზაციების რეკომენდაციებს, აქვთ საშუალო, საშუალო-ტექნიკური განათლება, ან სწავლობენ უმაღლესი სასწავლებლის დაუსწრებელ განყოფილებებზე, საკმაოდ ფლობენ ქართულ და რუსულ ენებს, აქვთ მძღოლის მოწმობა, კარგად იცნობენ ავტომობილებსა და მექანიზმებს. მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა მათ ფიზიკურ მომზადებასა და გარეგნობას (სიმაღლე არანაკლებ 175 სმ.).

დებულებითვეა განსაზღვრული საკონკურსო კომისიის შემადგენლობაც. მასში გაერთიანებული არიან საქართველოს შს სამინისტროს პოლიტგანყოფილების, კადრების სამმართველოს, სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს, საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ინსტიტუტის მოძრაობის უსაფრთხოების სექციის (სექციაში გაერთიანებულნი არიან წარმოების მოწინავენი, მეცნიერები, მწერლები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი), თბილისის შს სამმართველოს და სხვა წარმომადგენლები.

კონკურსი ტარდებოდა ორ ტურად: I ტურში კონკურსანტი აბარებს საგზაო მოძრაობის წესებს, II ტურში მოწმდება მათი საერთო განათლების დონე. ამჟამად ჩატარებულია სამი კონკურსი: პირველში რომელიც გაიმართა გასული წლის 15 ოქტომბერს 172 პრეტენდენტიდან შეირჩა 14, მეორეში 223-დან — 34 (გაიმართა გასული წლის 20 ნოემბერს).

რაც შეეხება რიგით მესამე კონკურსს — იგი ამა წლის 15 იანვარს გაიმართა. მასში მონაწილეობის მისაღებად განცხადება შემოტანილი ჰქონდა 113 ახალგაზრდას. არ გამოცხადდა — 10, სიმაღლის გამო არ დაიშვა — 12, მოძრაობის წესები ჩააბარა და მე-2 ტურში გავიდა 34, საბოლოოდ შეირჩა 11. აღსანიშნავია, რომ რიგით მესამე კონკურსზე განმეორებით მონაწილეობდა 29 კანდიდატი, ხოლო 6 მესამეჯერ.

**განსაცვიფრებელია ზოგიერთი მილიციის რაიგანყოფილების უფროსის ლოიალური დამოკიდებულება ამ მეტად საჭირო და გადაუდებელი საქმისადმი, რომლითაც უპირველეს ყოვლისა თვითონვე უნდა იყვნენ დაინტერესებულნი. ყოვლად გაუმართლებელია დუშეთის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ხაშურის შს რაიგანყოფილებათა უფროსების პოზიცია: მათმა წარგზავნილებმა უკვე მესამედ (!!!) საოცრად დაბალი ცოდნის და საერთო განათლების დონე გვიჩვენეს. საერთოდ არ წარმოუდგენია კონკურსანტი ყაზბეგის, ლენტეხის, მესტიის, ონის, თიანეთის, ცაგერის და წალენჯიხის შს რაიგანყოფილებებს, რაც აღნიშნული საქმისადმი მათ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაზე მიგვანიშნებს.**

და ბოლოს, სულ სამივე კონკურსში მონაწილეობა მიიღო 504 ახალგაზრდამ, რომელთაგან შეირჩა 59. ჩვენ მსგავს ღონისძიებებს კვლავ ჩავატარებთ, მაგრამ ახლა უნდა ვირწმუნოთ, ეს ის 59 ახალგაზრდაა ვინც სანიმუშოდ ატარებს ავტოინსპექტორის სახელს.

---

# СДЕЛАЛ ПРАВИЛЬНЫЙ ВЫБОР

**Кто в детстве не мечтает стать врачом или трактористом, пожарным или космонавтом, танкистом или летчиком. Не всем удается воплотить в жизнь эти мечты. Среди тех, кому это удалось сделать — милиционер строевого подразделения Ткварчельского ГОВД коммунист Виктор Гайнутдинов.**

**Нелегка милицейская служба. Полна она напряжения и тревог. Восемь лет прошло с тех пор, как надел милицейскую форму Виктор Гайнутдинов. Ни разу не пожалел он о своем выборе. Сослуживцы отзываются о нем как о человеке честном, дисциплинированном, старательном. Да и шесть поощрений и ни одного взыскания за годы службы говорят сами за себя. Уже не раз убеждались товарищи по работе в том, что ради дела В. Гайнутдинов пожертвует, если надо, и личным временем. Видимо за все эти качества коммунисты избрали его парттрупоргом подразделения.**



**Недавно Фаина Чантовна, мама Виктора, получила благодарственное письмо министра внутренних дел и начальника политического отдела МВД ГССР, где есть и такие строки: «...хотим искренне поблагодарить Вас за воспитание сына, ставшего достойным сотрудником органов внутренних дел, который с честью справляется с возложенными на него обязанностями, добросовестно и самоотверженно выполняет свой долг по борьбе с преступностью и охране общественного порядка».**

**Время показало, что В. Гайнутдинов сделал правильный выбор. Виктор сейчас только в начале своего жизненного пути. Хочется верить, что он и в дальнейшем будет работать также добросовестно и целеустремленно, утверждать себя добрыми делами и благородными поступками.**

**Д. ШЕНГЕЛИЯ,**
**капитан милиции, заместитель начальника Ткварчельского ГОВД по политической части.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

КУЛЬТУРНАЯ ЖИЗНЬ ● კულტურული ცხოვრება

# კვლავ გვიმასპინძლებს „ბერიკონი"?





გიცდიათ ხელების დაუხმარებლად თოკზე ჩამოკიდებული ვაშლის შეჭმა? გარწმუნებთ, რომ ძალზე ძნელია — ეს ახალგაზრდულ კაფე-ბარ „ბერიკონში" საახალწლო დისკოთეკის რამდენიმე მონაწილემ საკუთარ თავზე იწვნიეს — მათში ყველაზე მარჯვემ დიდი ვაივაგლახით შეძლო ამ პროცედურის შესრულება, მაგრამ სამაგიეროდ პრიზი დაიმსახურა.

ხალისიანი კონკურსები შინაარსიანად ავსებდა მუსიკალურ ნომრებს — საქართველოს სსრ შს სამინისტროს კომკავშირელთა ინიციატივით „ბერიკონში" ჩატარებული დისკოთეკა კიდევ ერთი დასტური გახლდათ იმისა, თუ როგორ შეიძლება დაიგეგმოს სამსახურისგან თავისუფალი დრო. გემრიელი ბუტერბროდები, გამაგრილებელი კოქტეილი, სურნელოვანი ფორთოხლები და შემწვარი თხილი ამშვენებდა ლამაზად განათებულ მაგიდებს... იყო სიმღერა, ცეკვები, გასართობი კონკურსები, მაგრამ საღამოს აკლდა ერთი არცთუ უმნიშვნელო რამ — გამოცდილება!

დიახ, დისკოთეკების მოწყობასაც თავისი პრაქტიკა სჭირდება. ასეთი პრაქტიკით კი ჩვენს რესპუბლიკაში ძნელად თუ დაიკვეხნის ვინმე. იმედია, ჩვენი კომკავშირელი აქტივისტები ტრადიციულს გახდიან ამ ღონისძიებას. მითუმეტეს რომ მსურველები საკმარისზე მეტნი არიან. განა ურიგო იქნება თვეში ერთხელ მაინც, თბილისის რომელიმე კაფე-ბარი (ვთქვათ იგივე „ბერიკონი") ჩვენს ახალგაზრდა თანამშრომლებს რომ მასპინძლობდეს?

რ. ანტონიანის ფოტო.

# НА СЦЕНЕ— ПОПУЛЯРНЫЕ АРТИСТЫ

Творческие встречи с популярными артистами театра и кино всегда доставляют большую радость зрителям. Не стала исключением и состоявшаяся недавно в Доме культуры им. Ф. Э. Дзержинского МВД ГССР встреча с артистами Московского театра сатиры.

На сцене перед заполненным залом свое искусство продемонстрировали лауреаты Государственной премии РСФСР народный артист СССР Георгий Менглет и народный артист РСФСР Роман Ткачук, народный артист РСФСР Спартак Мишулин, заслуженные артисты РСФСР Нина Архипова, Виктор Рухманов, Наталья Богданова.

«Эта встреча, как и многие другие подобные творческие вечера с участием популярных артистов, была организована руководством Дома культуры с помощью театра «Дружба» при Союзе артистов республики, — рассказывает заслуженный деятель искусств Грузинской ССР М. Кобешавидзе, — она позволила зрителям еще раз испытать радость общения с высоким искусством театра, обогатиться духовно, отдохнуть, набраться сил перед трудовой неделей. А именно в этом — главная цель подобных встреч».

С. МАМАЛАДЗЕ.



# ВЫСОТА ВЛАДИМИРА ВЫСОЦКОГО

Горько, что никогда уже не прозвучит в разговоре фраза: «Слышали новые записи Высоцкого?» Легко и привычно произносили мы ее в общении друг с другом. Более двадцати лет писал и пел для нас Владимир. Многие из нас, владельцы тогда еще совсем незатейливых магнитофонов помнят минуты перед тем, как готовилась к воспроизведению запись, помнят незабываемое предвкушение искреннего, точного, обобщенного, остроумного, ироничного, веско его слова.

Наверное, очень мало у нас домов, где нет пластинок, пленок с записями песен Высоцкого. Но сегодня приглушеннее звучат магнитофоны, потому что мы не просто слушаем, а внимательно вслушиваемся, поражаемся и еще раз осмысливаем это удивительное явление — творчество Высоцкого.

«Собираюсь ли я выпускать книгу стихов? — говорил он. — Я-то собираюсь. А вот сколько будут собираться те, от кого это зависит, не знаю».

Сейчас в общих чертах уже можно говорить о творческом наследии Высоцкого: в его архиве более шестисот стихотворных текстов (некоторые песни имеют от четырех до двенадцати вариантов), дневники, путевые заметки, письма к друзьям. Высоцкий писал и прозу — повесть «Жизнь без сна».

Его поэзия разнообразна — это лирика, сатира, сказка, баллада. Песни серьезные, смешные, трагичные, песни-спектакли, песни-репортажи, пародии, стилизации, частушки...

Литературный критик Е. Сергеев отмечает: «Как некогда Некрасов обогатил поэзию, используя возможности крестьянской песни, как некогда Блок развил мотивы городского романса, подняв его до уровня высокой лирики, так и Высоцкий, взяв песню беспородную... доказал, что она способна быть социально—злободневной и философски - углубленной, гротескно-комической и исповедально-лирической... Он нашел такие залежи, такой мощный пласт народной культуры, который еще долго будет разрабатываться многими и многими поэтами, композиторами и исполнителями песен».



„25 января этого года исполняется 50 лет со дня рождения Владимира Высоцкого. Поэт, актер и исполнитель авторской песни ушел из жизни в 1980 году. Он «не допел» и «не долюбил»... Хотя его песни пользовались огромной популярностью, Высоцкий при жизни не был официально признан до конца. Недавно ему присуждена (посмертно) Государственная премия СССР.

Часто говорят о том, что стихи Высоцкого очень проигрывают в напечатанном виде, но почему нужно пытаться измерять его стихосложение «письменной шкалой ценностей», не учитывая, что оно создается «по законам иной поэтики», что его стихи устные по самой своей природе. Составители сборников произведений Высоцкого жалуются на сложности воспроизведения его песен на бумаге. Рекомендаций поэт не оставил. Но все же верится, что внимательный и точный анализ рифм и ритмов, логики и образности его стиха позволит создать достойное материальное воплощение его стихотворений.

Но вернемся все же к песне, той, о которой сам Высоцкий любил говорить как об авторской песне.

Высоцкий сделал магнитную пленку объемной, дал ей еще одно измерение. Когда звучит пленка с его записями, всегда ощущается присутствие автора, который своим пафосом заражал слушателя, а слушатель — исполнителя. Оставшиеся несколько вариантов исполнения одной и той же песни — это тоже, наверное, корректировка на аудиторию, учет ее реакции, внимательное вслушивание в пульс зала.

Одно только не умел он — работать на заказ, если внутренне не приближался к теме. Честность, бескомпромиссность — важнейшая черта Высоцкого — поэта, мерило его таланта.

Высоцкий любил людей, для них он работал, не щадя себя. Не был он ни холодно вежливым, ни формально общительным человеком. В. Абдулов, артист МХАТа, друживший с Высоцким, рассказал мне: «Во время встреч с ним люди разных профессий поражались тому, как точно он схватывал суть проблем, как легко проникал в чужие для него сферы, как досконально знал предмет, о котором писал».

...Не печатавшегося при жизни Высоцкого мы с полным правом сегодня называем народным поэтом, создавшим своеобразную социальную поэтическую энциклопедию, развившим традиции «менестрельного» жанра. Многое мы еще услышим в его песнях, многое откроем, многому удивимся. Еще появятся новые книги стихотворений Высоцкого, воспоминаний о нем, кинорежиссеры снимут о нем новые фильмы. Но уже сегодня есть на небе далекая звезда, которую открыли советские астрономы. Имя ее — Владимир Высоцкий.

Г. КАМЕНСКАЯ. (АПН)

სპორტი СПОРТ

# „ვერა"—ორგზის ჩემპიონია!

დარწმუნებით შეიძლება ითქვას — თბილისში ტრადიციულად მიმდინარე ტურნირებმა მინიფეხბურთში დიდი პოპულარობა მოიპოვა. საქართველოს მეორე ჩემპიონატი, რომელიც სპორტის სასახლეში ჩატარდა ამის დასტური გახლდათ.

ჩემპიონატი წრიული სისტემით დაიწყო და მეოთხედფინალიდან ოლიმპიურ სისტემაზე გადავიდა, საბოლოოდ ნახევარფინალში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ თბილისის ჩემპიონი და მესამე ადგილის მფლობელი: „საბურთალო" და „დიდუბე". საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი „ვერა" და რუსთავის ძლიერი კოლექტივი, რომელმაც შეჯიბრებიდან გამოთიშა ოქროსუბნელთა ავტორიტეტული გუნდი. როგორც პირველი ისე მეორე შეხვედრა ჩემპიონების სასარგებლოდ დამთავრდა. საბურთალოელებმა მძიმე ბრძოლაში დაამარცხეს დიდუბელები, საზრიანი თამაშით თავი გამოიჩინა საბურთალოელთა მცველმა ა. კაჭახიძემ. ვერელთა გუნდის მოთამაშის ზ. გომართელის ორგანიზატორულმა ალღომ და მის მიერვე გატანილმა ულამაზესმა გოლმა წარმატების იმედი გადაუწურა რუსთაველებს. 2:1 და 4:2 სამართლიანად გამოხატავს ამ ორთაბრძოლების მიმდინარეობას.

ფინალურ მატჩში ერთმანეთის პირისპირ თბილისის ორი გუნდი აღმოჩნდა: საბურთალოელთა ძლიერი მოთამაშეებისაგან დაკომპლექტებული და ვერელთა შემართული გუნდი. უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში სწორედ შემართებამ გაიმარჯვა, რასაც ზ. გომართელის — თბილისის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელის ოსტატობამაც შეუწყო ხელი.

ა. კაჭახიძის მონდომების მიუხედავად სამი ბურთი მოთავსდა საბურთალოელთა კარში. 3:2 — ასე გაიმარჯვეს ვერელებმა და შეინარჩუნეს საქართველოს ჩემპიონის წოდება.

ვერელთა ლიდერი ზ. გომართელი ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. ა. კაჭახიძემაც მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა....

ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის კი უინტერესო არ იქნება ერთი ინფორმაციაც: ორივე მათგანი ჩვენი კოლეგები არიან.

ვ. ნადირაძე



სურათზე: უტევს ტურნირის საუკეთესო მოთამაშე ზ. გომართელი (მარცხნივ)

# ВНИМАНИЕ — КОНКУРС!

Редакция газеты «Боевой страж» решила предложить читателям принять участие в своеобразном конкурсе любителей шахматных прогнозов. Как известно 27 января в грузинском курортном городе Цхалтубо начинается претендентский турнир на первенство мира среди женщин. В этом турнире играют пять грузинских шахматисток. Желающим принять участие в конкурсе предстоит ответить на следующие вопросы:

1. Кто станет победителем претендентского турнира?
2. Сколько партий выиграет победитель претендентского турнира?
3. Какие места займут в претендентском турнире грузинские шахматистки?

В конкурсе будет пять призеров, которые получат шахматные книги.

Прогнозы следует отправить до 3 февраля (отметка по почтовому штемпелю) с пометкой «Шахматный конкурс». В ответе должны быть и такие сведения: точный домашный адрес, имеете ли разряд, кем работаете или где учитесь. В каждом письме — только один варнант ответов.

ჩვენი მისამართია: თბილისი 380025. გოგოლის ქ. № 23 ტელეფონები:
НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380025. УЛ. ГОГОЛЯ, 23 ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კოპალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე 05959